

შპს „აიტი გარაჟი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	10

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები.....	16
6. ამონაგები	17
7. სხვა ხარჯები	18
8. ძირითადი საშუალებები.....	18
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	19
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
12. დაკავშირებული მხარები.....	19
13. პირობითი აქტივები და ვალდებულებები	20
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

მმართველობის ანგარიშგება.....	21
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აიტი გარაჟის“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს,

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აიტი გარაჟის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალისა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ მოძრავი ძირითადი საშუალებების (გარდა იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა) ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ძირითადი საშუალებების რაოდენობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 2,778,312 ლარის ოდენობით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბაზის“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შპს „აიტი გარაჟის“ 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიას 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ, 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-5 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შეცდომების გასწორების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სწორი წარდგენის მიზნებისთვის. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული

უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგბსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.



აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი 2025

შპს „აიტი გარაჟი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები	6	23,537,865	38,875,283
სხვა შემოსავალი		33,295	72,256
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(29,909,613)	(26,546,856)
იჯარის ხარჯი		(1,694,705)	(1,362,491)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(940,016)	(700,154)
სხვა ხარჯები	7	(2,179,756)	(2,331,564)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(11,152,930)	8,006,474
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		224,124	(90,710)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(10,928,806)	7,915,764

(*) საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დავით ჯანელიძე

შპს „აიტი გარაჟი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	3,418,401	4,123,508
არამატერიალური აქტივები		59,395	66,095
		3,477,796	4,189,603
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივი		66,893	7,963
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,907,276	6,320,849
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე	9	-	2,642,400
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	5,541,824	9,717,153
		8,515,993	18,688,365
სულ აქტივები		11,993,789	22,877,968
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,642,400	2,642,400
გაუნაწილებელი მოგება		8,203,965	19,132,771
სულ კაპიტალი		10,846,365	21,775,171
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,147,424	1,102,797
სულ ვალდებულებები		1,147,424	1,102,797
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,993,789	22,877,968

(*) – 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადანაწილებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

შპს „აიტი გარაჟი“

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	-	11,217,007	11,217,007
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,642,400	-	2,642,400
წლის სრული მოგება	-	7,915,764	7,915,764
2023 წლის 31 დეკემბერი	2,642,400	19,132,771	21,775,171
წლის სრული ზარალი	-	(10,928,806)	(10,928,806)
2024 წლის 31 დეკემბერი	2,642,400	8,203,965	10,846,365

შპს „აიტი გარაჟი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(10,928,806)	7,915,764
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		940,016	700,154
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		203,014	255,329
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(224,124)	90,710
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(10,009,900)	8,961,957
მარაგების შემცირება		(111,600)	(1,505)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		3,692,753	489,855
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		45,039	831,294
საგადასახადო აქტივის ზრდა		(58,930)	(161,173)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(6,442,638)	10,120,428
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(6,442,638)	10,120,428
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(319,623)	(2,528,706)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(319,623)	(2,528,706)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა		2,642,400	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		2,642,400	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(4,119,861)	7,591,722
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	9,717,153	2,143,455
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(55,468)	(18,024)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	5,541,824	9,717,153

შპს „აიტი გარაჟი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აიტი გარაჟი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2022 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405514448.

მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მერაბ აღლეხიძის ქუჩა, N 12, სართული 3, საოფისე ფართი N 12.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა არარეზიდენტი პირებისთვის IT და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა, როგორცაა - პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა და კლიენტის მონაცემების ავტომატიზირებული დამუშავებისა და მართვის IT გადაწყვეტა. კომპანიას 2023 წლის ოქტომბრიდან მინიჭებული აქვს „საერთაშორისო კომპანიის“ სტატუსი და სარგებლობს შესაბამისი საგადასახადო შეღავათებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნის მე-5 პუნქტი.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან: დავით ჯანელიძე (49%) და შპს „ბრაგონა ტექნოლოჯი“ (51%). კომპანიის დირექტორია ბატონი დავით ჯანელიძე.

კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი პირი.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების (მსს ფასს-ები) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება საქართველოში არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ლარში. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიას შემუშავებული აქვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე.

სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2024	31.12.2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

4.2 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს შემდეგი გადახდის სტანდარტული საკრედიტო პირობებით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს და ბანკებში განთავსებულ თანხებს, რომელთა თავდაპირველი ვადა 3 თვეზე ნაკლებია.

4.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

შეკეთებასა და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება საოპერაციო ხარჯებში მათი გაწევისთანავე, თუ ისინი არ შეესაბამება კაპიტალიზებად დანახარჯებს.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები მოიცავს 3-დან 5 წლამდე შუალედს.

4.4 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა შეფასდეს, ხომ არ არის ისინი აღრიცხული ადდგენით ღირებულებაზე მეტი თანხით. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. როდესაც საბალანსო ღირებულებები აღემატება შეფასებულ ანაზღაურებად თანხას, აქტივები ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურება აღიარებულია შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებში.

გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი კორექტირდება მომავალ პერიოდებში, რათა გადანაწილდეს აქტივების შესწორებული საბალანსო ღირებულება, გამოკლებული ნარჩენი ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე სისტემატურ საფუძველზე.

საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს კომპანიას არ უღიარებია გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.5 დაბეგვრა

კომპანია წარმოადგენს საერთაშორისოს სტატუსის მქონეს საქართველოს მთვრობის N619 დადგენილების საფუძველზე. კომპანია იბეგრება შემდეგი გადასახადებით:

- მოგების გადასახადი - 5 პროცენტი (გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.95-ზე გაყოფით);
- საშემოსავლო გადასახადი - 5 პროცენტი;
- გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება;
- გათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან, თუ ეს ქონება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობის განხორციელებისათვის არის გამოიყენებული ან გამოიყენება.

საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძოდ:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს, აღიარდება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

4.6 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესვებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

4.7 ამონაგები

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა.

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

4.8 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გაწევისთანავე, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

4.9 ხელფასი და თანამშრომელთა ხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

4.10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4.11 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გაცემა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გაცემა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხის შექმნის საფუძველი შეიძლება იყოს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება.

შპს „აიტი გარაჟი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გააკეთა ნებაყოფლობითი კორექტირებები და რეკლასიფიკაციები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის წლის შედეგს და ფინანსურ მდგომარეობას.

წინა პერიოდის კორექტირებებისა და რეკლასიფიკაციების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	კორექტირება	2023 გადაანგარიშებული
შემოსავალი რელიზაციიდან	34,870,406	(34,870,406)	-
თვითღირებულება	(12,964,592)	12,964,592	-
ამონაგები	-	38,875,283	38,875,283
საერთო მოგება	21,905,814	16,969,469	38,875,283
მიწოდების ხარჯები	(10,089)	10,089	-
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	(12,932,232)	12,932,232	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,364,256)	3,364,256	-
საგადასახადო ხარჯი	(174,674)	174,674	-
სხვა შემოსავალი	-	72,256	72,256
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(26,546,856)	(26,546,856)
საიჯარო ხარჯი	-	(1,362,491)	(1,362,491)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	(700,154)	(700,154)
სხვა ხარჯები	-	(2,331,564)	(2,331,564)
საოპერაციო მოგება	5,424,563	2,581,911	8,006,474
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი	(382,583)	382,583	-
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი, წმინდა	-	(90,710)	(90,710)
მოგება დაბეგვრამდე	5,041,980	2,873,784	7,915,764
წლის წმინდა მოგება	5,041,980	2,873,784	7,915,764

შპს „აიტი გარაჟი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

წინა პერიოდის კორექტირებებისა და რეკლასიფიკაციების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	კორექტირება	31.12.2023 გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3,838,813	284,695	4,123,508
არამატერიალური აქტივები	65,490	605	66,095
	3,904,303	285,300	4,189,603
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	609,009	(609,009)	-
საგადასახადო აქტივი	-	7,963	7,963
გადახდილი ავანსები	1,220,707	(1,220,707)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,062,857	2,257,992	6,320,849
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე	-	2,642,400	2,642,400
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,717,153	-	9,717,153
	15,609,726	3,078,639	18,688,365
სულ აქტივები	19,514,029	3,363,939	22,877,968
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2,642,400	-	2,642,400
გაუნაწილებელი მოგება	16,361,422	2,771,349	19,132,771
სულ კაპიტალი	19,003,822	2,771,349	21,775,171
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი ხელფასები	11,364	(11,364)	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	248	(248)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	383,906	718,891	1,102,797
საგადასახადო ვალდებულებები	114,689	(114,689)	-
	510,207	592,590	1,102,797
სულ ვალდებულებები	510,207	592,590	1,102,797
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	19,514,029	3,363,939	22,877,968

6. ამონაგები

	2024	2023
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	23,292,279	38,875,283
კლიენტის მონაცემების ავტომატიზირებული დამუშავებისა და მართვის IT გადაწყვეტა	245,586	-
	23,537,865	38,875,283

შპს „აიტი გარაჟი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. სხვა ხარჯები

	2024	2023
ოფისის მოვლა-შენახვის ხარჯი	656,331	689,946
პროფესიული მომსახურების ხარჯი	515,423	567,712
მივლინების ხარჯი	481,445	333,565
ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯი	203,014	255,329
კომუნიკაციის ხარჯი	77,630	77,343
მარკეტინგის ხარჯი	60,169	92,684
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	31,242	170,890
სხვა	154,502	144,095
	2,179,756	2,331,564

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული აღჭურვილობა	საოფისე ავეჯი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	866,172	1,299,886	354,352	130,070	2,650,480
შემოსვლა	566,614	899,365	535,826	495,155	2,496,960
გასვლა	(474)	(19,533)	-	(236,636)	(256,643)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,432,312	2,179,718	890,178	388,589	4,890,797
შემოსვლა	240,745	20,612	-	44,162	305,519
გასვლა	(5,895)	(6,839)	-	(95,264)	(107,998)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,667,162	2,193,491	890,178	337,487	5,088,318
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	(35,754)	(29,575)	(15,708)	(1,783)	(82,820)
ცვეთა	(240,100)	(334,313)	(98,147)	(14,728)	(687,288)
გასვლა	103	2,599	-	117	2,819
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	(275,751)	(361,289)	(113,855)	(16,394)	(767,289)
ცვეთა	(305,002)	(435,849)	(136,234)	(42,127)	(919,212)
გასვლა	933	1,070	-	14,581	16,584
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	(579,820)	(796,068)	(250,089)	(43,940)	(1,669,917)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბერი	1,156,561	1,818,429	776,323	372,195	4,123,508
2024 წლის 31 დეკემბერი	1,087,342	1,397,423	640,089	293,547	3,418,401

შპს „აიტი გარაჟი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	2,088,284	5,422,598
	2,088,284	5,422,598
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	818,992	898,251
	818,992	898,251
	2,907,276	6,320,849

2023 წლის 6 ივნისს კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელი გახდა შპს „ბრაგონა ტექნოლოჯი“. წილის შესყიდვის სანაცვლოდ კაპიტალში შესატანი თანხა განისაზღვრა 2,642,400 ლარით, რომელიც წილის რეგისტრაციიდან არაუმეტეს 1 წლის ვადაში უნდა შევსებულიყო შპს „ბრაგონა ტექნოლოჯის“ მიერ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული მოთხოვნა სრულად დაფარულია.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	135,235	177,025
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,406,589	9,539,849
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	279
	5,541,824	9,717,153

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
მომსახურების შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	88,298	98,008
გადასახდელი ხელფასები	1,036,077	934,902
სხვა ვალდებულებები*	23,049	69,887
	1,147,424	1,102,797

12. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2024	2023
შრომის ანაზღაურება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	94,481	80,942
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	დამფუძნებელი	-	1,417,721

13. პირობითი აქტივები და ვალდებულებები**პირობითი ვალდებულებები**

სასამართლო დავები - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

იჯარა - კომპანიას აქვს გაფორმებული საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები, რომელიც უკავშირდება საოფისე, საწარმოო, სასაწყობო და სარეალიზაციო ფართების იჯარას. მომავალი საიჯარო გადასახადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
1 წლამდე	1,746,930	1,746,930
1-დან 5 წლამდე	6,092,538	7,360,752
5 წლიდან	868,339	1,347,055
	8,707,807	10,454,737

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „აიტი გარაჟი“

2024 წელი

შინაარსი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	23
საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა	23
კომპანიის ფილიალები	23
კომპანიის მმართველობა	23
კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები	24
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	24
ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ	24
არაფინანსური მაჩვენებლები	25
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	25
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	25
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	25

შპს „აიტი გარაჟი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შპს „აიტი გარაჟი“ დაფუძნდა 2022 წლის 16 მარტს. მისი სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია 405514448.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, N 12, სართული 3, საოფისე ფართი N 12.

შპს „აიტი გარაჟი“-ს დაფუძნების დღისთვის 100%-იანი წილის მფლობელი იყო დავით ჯანელიძე (პ/ნ: 01008028747). საანგარიშგებო პერიოდსათვის დავით ჯანელიძეს მფლობელობაშია კომპანიის 49%-იანი წილი. 2023 წლის 6 ივნისს, შპს „აიტი გარაჟი“-ს 51%-იანი წილის მფლობელი გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბრაგონა ტექნოლოჯი“, 1849506 /არაბთა გაერთიანებული საემიროები/.

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - დავით ჯანელიძე.

საზოგადოების მთავარი საქმიანობის საგანს წარმოადგენს - IT და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება. კომპანიას მისი საქმიანობიდან გამომდინარე საანგარიშგებო პერიოდში მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი.

კომპანიის ფილიალები


კომპანიის სათაო ოფისი განთავსებულია ქ. თბილისში, მერაბ ალექსიძის ქუჩა, N 12, სართული 3, საოფისე ფართი N 12.

კომპანიას არ გააჩნია სხვა ოფისი ან ფილიალი.

კომპანიის მმართველობა

კომპანიას მართავს დირექტორი, რომელიც არის საერთო კრების მიერ არჩეული. კომპანიაში უფლებამოსილებები განაწილებულია განყოფილებების მიხედვით, რომელთაც მართავს შესაბამისი მენეჯერული რგოლები.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:



შპს „აიტი გარაჟი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები

2024 წლის მიმოხილვა

2024 წლის პერიოდისთვის კომპანიამ დაასრულა ყველა ის არსებითი პროექტი, რომელიც წინა წელს იყო დაწყებული, ასევე მოიძია ახალი კლიენტები, რომლებთანაც ჰქონდა მოკლევადიანი კონტრაქტები.

2025 წლის გეგმები

კომპანია მიჰყვება მისი მენეჯმენტისა და დამფუძნებლების მიერ შემუშავებულ გეგმას. კომპანიის მთავარი მიზანი იყო ბაზრის წილის გაზრდა და გლობალური ქსელის გაფართოება. კომპანია აგრძელებს განვითარებას ამ მიზნის შესაბამისად. უახლოესი მომავლის გეგმები მოიცავს:

- კლიენტების სიის გაფართოებას.
- ახალი პროექტების შემუშავებას, რომლებიც დააკმაყოფილებს კლიენტების საჭიროებებს.
- ახალი ტექნოლოგიების კვლევას.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2024 წელს არ ჩატარებულია კვლევები.

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2024	2023
ამონაგები	23,537,865	38,875,283
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	(11,152,930)	8,006,474
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	(10,928,806)	7,915,764
მთლიანი აქტივები	11,993,789	22,877,968
კაპიტალი	10,846,365	21,775,171

კომპანიის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2024	2023
მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობა	7.42	16.95
კაპიტალზე უკუგება	(1.0)	0.4
აქტივებზე უკუგება	(0.9)	0.3

გამოთვლების მეთოდოლოგია და სხვა განმარტებები წარმოდგენილია ქვემოთ:

მიმდინარე ლიკვიდურობის და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტები ზომავს კომპანიის შესაძლებლობას, დაფაროს თავისი მიმდინარე ვალდებულებები.

კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი აჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის წმინდა შედეგის თანაფარდობას კომპანიის მთლიან კაპიტალთან.

აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი აჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის წმინდა შედეგის თანაფარდობას კომპანიის მთლიან აქტივებთან.

კოეფიციენტების გაანგარიშების წესები და გადახრების შესაბამისი განმარტებები:

მიმდინარე ლიკვიდურობის და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტები განსაზღვრავს მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად საჭირო მიმდინარე აქტივების დონეს. ეს ლიკვიდურობის კოეფიციენტები ძირითადად საინტერესოა პოტენციური ინვესტორებისა და კრედიტორებისთვის, ასევე კომპანიის მენეჯმენტისთვის. მოსალოდნელია, რომ 2025 წელს ლიკვიდურობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუარესება არ იქნება, რაც ნიშნავს, რომ კომპანიის აქტივები სრულად დაფარავს მოკლევადიან ვალდებულებებს. ასევე, გამოთვლილია 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ზარალი, იმის გამო, რომ ახალ მომხმარებლებთან გაფორმდა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, რომლებიც სამომავლო გათვლებით არის გაფორმებული.

შპს „აიტი გარაჟი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

კაპიტალის უკუგება ზომავს კომპანიის კაპიტალის მომგებიანობას.

აქტივების უკუგება ზომავს კომპანიის საერთო მომგებიანობის საზომი.

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2024	2023	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა (საშუალო)	175	179	(4)
ოფისის რაოდენობა	1	1	0

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და/ან გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საოპერაციო რისკები

კომპანიაში არსებობს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს საკმარისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე კანდიდატების ძიებასა და შეფასებას. კომპანიის მენეჯმენტი და მფლობელები ზრუნავენ ბიზნესის ბუნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან რისკებზე და უზრუნველყოფენ თანამშრომლების პროფესიული კვალიფიკაციის განვითარებას სტანდარტებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის მიზნით.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი

შპს „აიტი გარაჟი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესაძარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- უზრუნველყოს, რომ ბიზნესმა გააგრძელოს ფუნქციონირება მფლობელების საქმიანობის შეფერხების გარეშე; და
- შექმნას სარგებელი მფლობელებისთვის რისკის მისაღები დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დავით ჯანელიძე